2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრში განხორციელებული ღონისძიებები

1	საკონკურსო პროექტი: „ახალი ვარჯაანი“ 2019 წლის 23 ივლისს დასრულდა საკონკურსო პროექტი: სოფელ ახალი ვარჯაანის ადმინისტრაციული ცენტრი;
2	საზაფხულო სკოლა ვარჯაანში: „მიწის არქიტექტურა“ 2019 წლის 26 ივლისიდან ოთხი დღის განმავლობაში ვარჯაანში გაიმართა საზაფხულო სკოლა. საზაფხულო სკოლის მიზანია სტუდენტებს გააცნოს და შეასწავლოს „მიწის“, როგორც ეკოლოგიური მასალის შესაძლებლობები არქიტექტურაში. ოთხი დღის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებოდათ ლექციები და ბოლოს თავიანთი ხელით ააშენეს მიწისგან ერთი კედელი. საზაფხულო სკოლას გაუძღვა არქიტექტორი გივი ჩაყელი. ინიციატორი ლევან ჩოლოყაშვილი ხედი ვარჯაანის ტერიტორიაზე საზაფხულო სკოლა

სტუდენტების მიერ აგებული კედლის ფრაგმენტი

საზაფხულო სკოლის მიმდინარეობისას გაიმართა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტების პროექტების: „სოფელ ახალი ვარჯაანის ადმინისტრაციული ცენტრი“ გამოფენა და განხილვა. გამოფენის გახსნას დაესწრო შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე.

გამოფენა და განხილვა

პროექტში ჩართულები იყვნენ არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები: ნ. იმნაძე, ვ.ქობულია, ბ. ტატიშვილი, გ. გეგლია, ბ. თინიკაშვილი

3	**სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა საკონკურსო პროექტების გამოფენა** 2019 წლის 1 სექტემბერს **ზემო ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე მოეწყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა საკონკურსო პროექტების „ ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლის თეატრი“ გამოფენა. გამოფენა გახსნა** ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის მიტროპოლიტმა ისაიამ. გამოფენას ესწრებოდნენ

	საქართველოში საფრანგეთის, იაპონიის და ლიტუას ელჩები, საზოგადო მოღვაწეები, სოფლის მაცხოვრებელები და ნიქოზის ხელოვნების სკოლის მოსწავლეები. საკონკურსო პროექტის მიზანია ზემო ნიქოზში აშენდეს თეატრი სადაც მოეწყობა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი. გამარჯვებულ პროექტად დასახელდა ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტის ანა ნუცუბიძის პროექტი, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა აღნიშნული ობიექტის აშენება. პროექტის ორგანიზატორები და შემსრულებლები: ნ. იმნაძე, გ.გეგელია, ბ. ტატიშვილი და ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტები.
4	**2019 წლის სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების კონკურსი** 1. **2019 წლის 8 ოქტომბერს არქიტექტორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს არქიტექტორთა კავშირში მოეწყო 2019 წლის სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების დათვალიერება - კონკურსი. კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში არსებული არქიტექტურული სკოლები. სტი-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზიანის ფაკულტეტიდან წარდგენილი იყო სხვადასხვა ნომინაციებში 9 პროექტი:** **ნომინაცია: ლანდშაფტური არქიტექტურა** 1. **„ღვინის საწარმო“** - მაგისტრანტი გიორგი მექერიშვილი; ხელმძღვანელი ნინო იმნაძე 2. **„გოლფის ცენტრი ბათუმში** „ - მაგისტრანტი ნინო ნადირაშვილი; ხელმძღვანელი მედეა მელქაძე

	ნომინაცია: „მოცულობითი არქიტექტურა“ 1,“ **ნიკო ფიროსმანიშვილის მუზეუმი თბილისში“** - მაგისტრანტი ანა მეფარიშვილი; ხელმძღვანელი თენგიზ გოგოლაშვილი 2, „**სამთო-სათხილამურო ტურისტული კომპლექსი ბაკურიანში“** -ლექსო გერმანაშვილი; ხემძღვანელი გია ნადირაძე 3, „**ასტრო-ფიზიკური ობსერვატორია აბასთუმანში“** მაგისტრანტი გია რურუა; ხემძღვანელი ნოდარ ბუზალაძე **ნომინაცია: რეკონსტრუქცია-რესტავრაცია** 1,“ **ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის რესტავრაცია** -რეკონსტრუქცია“. ახალი გალერეა- მაგისტრანტი გიორგი ტუნაძე; ხელმძღვანელი ნინო იმნაძე 2, „**რაჭა ონის რაიონის სასტუმრო შოვში. რეკონსტრუქცია“** - მაგისტრანტი გიორგი ვარდოსანიძე; ხელმძღვანელი ნინო იმნაძე **ნომინაცია: გარემოს დიზაინი** 1, „**ურბანული სივრცის დიზაინერული დაგეგმარება თბილისის ეროვნული პარკის მაგალითზე“;** მაგისტრანტი ანა რატიანი; ხელმძღვანელი ნუგზარ ხვედელიანი 2, „**მუშტაიდის ბაღის რეკონსტრუქცია რეაბილიტაცია(დიზაინ-პროექტი)“-** მაგისტრანტი მარიამ გოგოლაშვილი; ხელმძღვანელი ნინო ხაბეშვილი **ნომინაცია „მოცულობითი არქიტექტურა“ პირველი ხარისხის დიპლომი და ქეთევან და არჩილ ქურდიანების სახელობის დიპლომი გადაეცა მაგისტრ გია რურუას პროექტს**

ნომინაცია რეკონსტრუქცია-რესტავრაცია პირველი ხარისხის დიპლომი გადეცა მაგისტრ გიორგი ტუნაძის პროექტს;



ნომინაცია: გარემოს დიზაინი პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა მაგისტრს მარიამ გოგოლაშვილს.

ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი ყველა გამარჯვებულს ულოცავს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებას.

სახელოვნებო ფესტივალი „მეხელოვნება - 100 გონება“

2019 წლის 3 ნოემბერს თბილისში, საქართველოს უნივერსიტეტში გაიხსანა სახელოვნებო ფესტივალი „მეხელოვნება - 100 გონება“, რომელზეც წარმოდგენილი იყო ასზე მეტი ხელოვანის ნამუშევრები. ფესტივლზე წარმოდგენილია არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის მაგისტრანტის გელა მიქავას ნამუშევრები.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულების წარმატება

2019 წლის 9 ნოემბერის,

ჩვენი ფაკულტეტის კურსადამთავრებულებმა ნინო ჭანტურიამ და ლუკა ჩაგანავამ, რომლებიც არიან არქიტექტურული სტუდია **NS STUDIO**-ს დამფუძნებლები, გაიმარჯვეს მზიურის პარკში სფეხმავლო ხიდის არქიტექტურული პროექტის კონკურსში. ახალი საფეხმავლო ხიდი მზიურის პარკს დააკავშირებს ხილიანის ქუჩასთან.

ფაკულტეტი ულოცავს მათ კონკურსში გამარჯვებას!

NS STUDIO-მ ასევე მონაწილეობა მიიღო 2019 წელს ეროვნული ბანკის ახალი სათაო ოფისის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსში და მესამე ადგილი დაიკავა.





Architecture competition Gauja National Park Footbridge Honorable mention - Giorgi Maisuradze; გამოვლინდა „გაუჯას ეროვნული პარკის საფეხმავლო ხიდის“ საკონკურსო პროექტის გამარჯვებული - ქართველი არქიტექტორი გიორგი მაისურაძე

2019 წლის 9 ნოემბერი.
კიდევ ერთი ჩვენი კურსდამთავრებულის გიორგი მაისურაძის წარმატება საერთაშორისო არენაზე. მან გაიმარჯვა საერთაშორისო არქიტექტურულ კონკურსში: საფეხმავლო ხიდი გაუჯას ეროვნულ პარკში. (ლატვია, რიგა)
გიორგი მაისურაძემ 2016 წელს წარმატებით დაამთავრა ჩვენი ფაკულტეტის ბაკალავრიატი, შემდეგ მან მოიპოვა სახელმწიფო სტიპენდია და სწავლა გააგრძელა მილანის პოლიტექნიკურის მაგისტრატურაზე არქიტექტურის განხრით. 2018 წელს მან დაიწყო მუშაობა რომში მასიმილიანო და დორიან ფუქსასის სტუდიაში.

ფაკულტეტი ულოცავს გიორგის გამარჯვებას!

დაწვრილებით ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდე: https://beebreeders.com/gnpf-hon-5-interview?fb=1&fbclid=IwAR1BnaT1aFyah_a3rxquIYoAfKqZwYz0pQznBeUT1zoXWJk6e_kM551xj1g

2019 წლის 7-12 ოქტომბერს და 4-12 ნოემბერს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პროექტში თემაზე: „**დიალოგის პლატფორმა: ცხოვრების ხარისხი ურბანული მემკვიდრეობის დაცვა**“.

დიალოგის პლატფორმის მიზანია თბილისის ურბანული მემკვიდრეობის, ურბანული ლანდშაფტის და ურბანული კულტურის შესანარჩუნებლად პროფესიონალების და საზოგადოების გაერთიანება. პლატფორმის თემებია: ცხოვრების ხარისხი და ქალაქი, მისი ისტორია, დრევანდელობა და სამომავლო მდგრადი განვითარების პერპექტივა; ურბანული მემკვიდრეობის და ურბანული კულტურის როლი; ურბანული ლანდშაფტის - საჯარო და მწვანე სივრცეების ახალი სიცოცხლე.

დიალოგის პლატფორმის ორგანიზატორია Studio L და Friedrich-Eber-Stiftung - ის კავკასიის რეგიონალური ოფისი;

პროექტის ფარგლებსი მოეწყო საჯარო ლექციები, სემინარები, ვორქშოფები, ელჩების საუბრები ურბანულ მემკვიდრეობაზე. მომხსენებლები: ელიზაბედ რუდი - ამერიკის ელჩის მოვაეობის შემსრულებელი საქართველოში; ტადაჰარუ უეჰა - იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ლენა კილაძე, ცირა ელისაშვილი, თამარ ამაშუკელი და მისაკ ტერზიბასიანი UArchitects (ნიდერლანდები) დამფუძნებელი.

პროექტში, გარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა მონაწილეობას იღებდა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და SDSU;

ჩვენი ფაკულტეტიდან აღნიშნულ პროეტში მონაწილეობა მიიღო ორმა გუნდმა.

ორივე გუნდმა წარმოადგინა საკუთარი ხედვები და მოამზადეს პრეზენტაციები „ქალაქი და მეხსიერება“.

2019 წლის 12 ნოემბერს მწერალთ სახლში გამოვლიდნენ გამარჯვებული გუნდები

პირველი ადგილი და სეთიფიკატი გადაეცა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდს მარიამ ღვინეფაძის, ელენე ღვინეფაძის, ანა ნაცვლიშვილის, დეა ხიზანიშვილის, თორნიკე დუნდუას და მარიამ ძიმისტარიშვილის შემადგენლობით.

მეორე ადგილი და სერთიფიკატი გადაეცა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის გუნდს ნიკიტა ტიმოშენკოს, ანასტასია კენჭაძის, თორნიკე ჭიკაძის, აჩი გაგელიძის და მარიამ ნიშნიანიძის შემადგენლობით.

ვულოცავ ჩვენს სტუდენდებს გამარჯვებას!

სეთიფიკატები სტუდენტებისთვის

2019 წლის ნოემბერს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა თიო გაბუნიამ საკუთარი დიზაინით შექმნა სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტებისთვის სერთიფიკატები.

სერტიფიკატი / CERTIFICATE
თბილისი, 2019 წლის 23 მაისი
TBILISI, MAY 23RD OF 2019
გადაეცემა
AWARDED TO
ფრან

არსებული სახელოვნებო სკოლის გაგრძელებას - ორი სახის სამაყურებლო დარბაზი. (შეიძლება ითქვას დიდი და მცირე დარბაზები)

საპროექტო სამუშაოები დაიყო ეტაპებად, რის შემდეგაც საჭირო გახდა მეორე და მესამე ეტაპის განხორციელება.

ამჯერად სტუდენტებისათვის საპროექტო დავალებას წარმოადგენს, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობა ნაგებობების რეკონსტრუქციის შემდეგ მისი კერამიკის სკოლად გადაკეთება.

ძალიან გულთბილი დახვედრის შემდეგ,

მიტროპოლიტი ისაიას დახმარებით სტუდენტები გაეცნენ ტაძრის ტერიტორიას და მის შემოგარენს,

მოხდა ფოტო ფიქსაცია, გაკეთდა პირველადი სამუშაო ანაზომები, ჩაინიშნეს მოთხოვნები რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ეპარქიასთან არსებული სკოლის ნორმებს და მოთხოვნებს.

შეკრება მოხდა მონასტრის ეზოში ახლად აღდგენილი სასახლის დარბაზში.

ნიქოზის სამუშაოების შემდეგ ჟგუფმა გადაინაცვლა სოფელ ტყვიავში. შემდეგი საპროექტო დავალება წარმოადგენდა სოფ. ტყვიავის კულტურის სახლის რესტავრაცია- რეაბილიტაციის პროექტს.

ადგილზე დაგვხვდა კულტურის სახლის დირექტორი და ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენელი.

შენობის განახლების სურვილი გამოთქვეს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის სამსახურის წარმომადგენლებმა, კერძოდ , რწმუნებულის მოადგილემ. ბ-ნმა ნუგზარ სამხარაძემ. რომელიც სტუმრად იმყოფებოდა ჩვენს ფაკულტეტზე, ზემოთ აღნიშნული კონკურსის საპროეტო ნამუშევრების საბოლოო შეფასების და საუკეთესო პროექტების გამოსავლენად, პროექტები რომლების იქცა რეალურ სამშენობლო ობიექტებად.

ასევე ტყვიავშიც მოხდა არსებული შენობის აღწერა,

ფოტო ფიქსაცია, ჩატარდა აზომვითი სამუშაოები, ადგილზევე დაისახა შემდგომში გასაგრძელებელი სამუშაოები.

სამუშაოების ჩატარების შემდეგ გადავინაცვლეთ სოფელში მდებარე წმ. გიორგის სალოცავთან მოწყობილ, ძალიან კარგად გაკეთებულ პარკში, სადაც ყველამ ერთად წარმადგინა თავის მიერ

ჩატარებული სამუშაო, შევაჯამეთ დღის შედეგი და ჩვენს მიერ შესრულებული დოკუმენტაციის რაოდენობა, ხარისხი და მნიშვნელობა.

სტუდენტებს შორის მოხდა აზრთა გაზიარება სადაც გამოითქვა მოსაზრებები სამუშაოების ჩატარებისა და ობიექტის კონცეპტუალური გაწყვეტილების შესახებ.

მცირე შესვენებისა შემდეგ ჯგუფი გამოემართა თბილისისაკენ.

პროექტი: „დედის წყალი“

2019 წლის 1 ნოემბრიდან 23 ნოემბრამდე განხორციელდა პროექტი: „დედის წყალი“. დამკვეთი ფინური კომპანია „ბიზნეს ინსპირეიშენ“ და ლანა კორბელაინენ და სტუ-ს სატრანსპორტო ფაკულტეტი. პროექტის მიზანია შეიქმნას სასმელი წყლის „MOTHERS WATER” ლოგოს და ეტიკეტის შექმნა.

პროექტში მონაწილეობა მიიღეს მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებმა. ხელმძღვანელები: ნ. იმნაძე და ბ. ტატიშვილი



სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატება ევრაზიის მე-9 საერთაშორისო ფესტივალზე

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ევრაზიის მე-9 საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც 2019 წლის 15, 16, 17 ნოემბერს ჩატარდა ტაშკენტში. ფესტიველის ფარგლებში გაიმართა კონკურსი სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომებს შორის. გამარჯვებულები გამოვლიდნენ 2019 წლის 15 ნოემბერს. კონკურსზე წარმოდგენილი იყო 19 ქვეყანა 86 არქიტექტურული უმაღლეს სასწავლებელი. მათ შორის იზრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები, იდოეთი, ჩინეთი, თურქეთი, იტალია, რუმინეთი, უნგრეთი, კორეა. კონკურსზე წარმოდგენილი იყო ნამუშევრები სხვადასხვა ნომინაციაში: ნომინაცია „არქიტექტურა“ საერთო ჯამში წარმოდგენილი იყო 500 პროექტი, ქალაქგეგმარება 94, რესტავრაცია 73, ინტერიერის დიზაინი 92.

ნომინაცია „არქიტექტურა“ ჩვენი ფაკულტეტიდან გაგზავნილი იყო ექვსი სამაგისტრო დამასრულებელი ნაშრომი.

ამ ნომინაციაში მეორე ადგილი და დიპლომი გადაეცა მაგისტრანტმა გია რურუამ. მის მიერ წარმოდგენილი იყო პროექტი: „ასტროფიზიკური ობსერვატორია აბასტუმანში“, ხელმძრვანელი ასოცირებული პროფესორი ნოდარ ბუზალაძე;



ნომინაცია „რესტავრაცია“ მესამე ადგილი და დიპლომი მიენიჭა ჩვენი ფაკულტეტის მაგისტრანტმა გიორგი ტუნაძემ. მის მიერ წარმოდგენილი იყო პროექტი: “ **ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის რესტავრაცია** -რეკონსტრუქცია“. ახალი გალერეა- ხელმძღვანელი ნინო იმნაძე;





დანარჩენ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები

მაგისტრანტი ვახტანგ ნოსელიძე. მან წარმოადგინა პროექტი: „ახალი სამონასტრო კომპლექსი ბანა“ ხელმძღვანელი გიული გეგელია;



მაგისტრანტი შალვა ხუციშვილი. მის მიერ წარმოდგენილი იყო პროექტი: „ახალი სამონასტრო კომპლექსი ბანა“ ხელმძღვანელი პროფესორი გიული გეგლია;

KAZAKH LEADING ACADEMY
OF ARCHITECTURE AND CIVIL ENGINEERING
Tashkent 2019
INTERNATIONAL FESTIVAL OF ARCHITECTURAL CIVIL ENGINEERING AND DESIGN SCHOOLS OF EURASIA

CERTIFICATE
OF APPRECIATION
For participation in the IX International Festival
of Architectural,Civil Engineering and Design Schools of Eurasia
Name Shalva Khutsishvili
University Georgian Technical University - GTU
14-18 November 2019, Tashkent, Uzbekistan

მაგისტრანტი ლექსო გერმანაშვილი, მის მიერ წარმოდგენილი იყო პროექტი: სამთო-სატხილამურო კომპლექსი“ ხელმძრვანელი გია ნადირაძე;

KAZAKH LEADING ACADEMY
OF ARCHITECTURE AND CIVIL ENGINEERING
Tashkent 2019
INTERNATIONAL FESTIVAL OF ARCHITECTURAL CIVIL ENGINEERING AND DESIGN SCHOOLS OF EURASIA

CERTIFICATE
OF APPRECIATION
For participation in the IX International Festival
of Architectural,Civil Engineering and Design Schools of Eurasia
Name Lekso Germanashvili
University Georgian Technical University - GTU
14-18 November 2019, Tashkent, Uzbekistan

მაგისტრანტი მარიამ გოგოლაშვილი, რომელმაც წარმოადგინა პროექტი: „მუშტაიდის ბაღის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის დიზაინ-პროექტი“ ხელმძღვანელი პროფესორი ნინო ხაბეიშვილი;

საერთაშორისო ჟიურიში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ფაკულტეტის პროფესორმა ბესარიონ ტატიშვილი.

ვულოცავ ჩვენს მაგისტრანტებს გამარჯვებას!

აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

2019 წლის 20 დეკემბერს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“ შედგა ვახტანგ დავითაიას 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.



ამავე დღეს მოხდა ვახტანგ დავითაიას ალბომის „მოცალეობის ჟამს“ პრეზენტაცია.

ალბომის შინაარსის გადმოსაცემად მოვიყვანთ ვ. დავითაიას სიტვებს:

„ალბომის დასახელება თავად მიანიშნებს მის რაობაზე. საკითხი ეხება სხვადასხვა „არა სამუშაო გარემოში პროფესიულ გართობას. „ეს გართობა“ არქიტექტორის შემოქმედებითი ცხოვრების ნაწილია . ამ პროფესიული გართობის საინტერესო კადრი - „გართობა“ ექსტრემალურ სიტუაციაში „დაიჭირა“ ფოტოხელოვანმა, იური მეჩითოვმა, რომელსაც სიამოვნებით დავუთმე ყდის შიდა გვერდი.

ალბომის დათვალიერებისას, ადამიანმა შეიძლება იფიქროს, ეს კაცი მოცლილი ყოფილაო.

არა, მოცლილი არ ვიყავი, მოცლილობის დროსაც ვმუშაობდი. როდესაც ეს ჩანახატები სხვადასხვა წლების საქაღალდეებიდან ამოვკრიფე, მივხვდი, რომ ეს მხოლოდ „გართობა“ არ იყო. გადავწყვიტე ალბომად გამოცემა. ცდუნებამ დამძლია და ალბომში, მის მეორე ნაწილში, ზოგიერთი საპროექტო ესკიზებიც შევიტანე. იყოს რა, რას აშავებენ.“



ასევე შედგა ჩვენი პედაგოგის თამაზ დოგრაშვილის წიგნის „მხოლოდ ფაქტები ვახტანგ დავითაია 85“ პრეზენტაცია. ავტორმა წიგნი მიუძღვნა იუბილარს: „ჩავთვალე, ამ საიუბილეო წიგნში, უპირატესად, მესაუბრა ფაქტებზე, რომლებიც თავად „მოგვითხრობენ“ ვახტანგ დავითაიაზე.“ აღნიშნავს თამაზ დოგრაშვილი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო „არქიტექტურა“

2019 წლის 17 დეკემვერს 13 სთ-ზე 405ც აუდიტორიაში ჩატარდა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს „არქიტექტურა“ პირველი სხდომა. სხდომა გახსნა სტუ-ს პრორექტორმა სამეცნიერო დარგში ბატონი ზურაბ გასიტაშვილმა.

საბჭოს სხდომის დღის წესრიგი იყო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები. ფარული კენჭისყრით. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭომ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია დოქტორი გიორგი სალუქვაძე.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ დასახელდნენ მოადგილე და სწავლული მდივანი: საუნივერსიტეტო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ერთხმად არჩეული იქნა მარიკა ფოჩხუა, ხოლო სწავლულ მდივანად დავით ბოსტანაშვილი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო „არქიტექტურა“ შემადგენლობა:

პროფესორი გიორგი სალუქვაძე (თავმჯდომარე), ასოც. პროფესორი მარიკა ფოჩხუა (თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი დავით ბოსტანაშვილი (სწავლული მდივანი); წევრები: პროფესორი მაია ძიძიგური, პროფესორი ლევან ბერიძე, პროფესორი მაია დავითაია, პროფესორი ნინო იმნაძე, პროფესორი ვახტანგ ფირცხალავა, პროფესორი თენგიზ მახარაშვილი, პროფესორი თინათინ ჩიგოგიძე, პროფესორი ნინო ხაბეიშვილი, ასოც პროფესორი მედეა მელქაძე, ასოცირებული პროფესორი ნინნო ჩაჩავა, ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე, ასოცირებული პროფესორი გია ნაცვლიშვილი, პროფესორი ნიკოლოზ შავიშვილი (სტუ-ს დიზაინის საერთაშორისო სკოლა), პროფესორი გოჩა მიქიაშვილი (დიზაინის საერთაშორისო სკოლა), აკადემიური დოქტორი ნიკოლოზ აბაშიძე (მოწვეული წევრი, შპს „ ნიკოლო და ვაჟები“ გენერალური დირექტორი; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე), აკადემიური დოქტორი დავით აბულაძე (მოწვეული წევრი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე).

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ვუსურვებ წარმატებას!

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

2019 წლის 21 დეკემბერს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ორგანიზებით ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრადიციული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის პროფესორებმა, დოქტორანტებმა და სხვადასხვა უმაღლესების წარმომადგენლებმა. მომხსენებლებმა ისაუბრეს არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა ლანდშაფტის არქიტექტურის როლი ქალაქების მდგრად განვითარებაში, მწვანე არქიტექტურის როლი სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში, არქიტექტურული მემკვიდრეობის ადგილი თანამედროვე ურბანულ სივრცეში, „წაშლილი“ არქიტექტურული მემკბიდრეობა და მათი როლი ურბანული სივრცის ფორმირებაში, თანამედროვე სატაძრო არქიტექტურა და სხვა.

კონფერენციის დღის წესრიგი

კონფერენციის გახსნა 10.30

1. 11.00 –11.25
ლანდშაფტის არქიტექტურის
როლი ქალაქების მდგრად
განვითარებაში.
პროფ. თ .მახარაშვილი,
დოქტორანტი გ.ხელაძე

2. 11.25– 11.50
მწვანე არქიტექტურის როლი
სტუმარმასპინძლობის
ინდუსტრიაში.
ასოც. პროფ. ნ. ჩაჩავა

3. 11.50– 12.15
ძველი საქართველოს ქალაქები და
უფლის ციხეები (ურთიერთ
მიმართების საკითხები).
პროფ. გ. ყიფიანი

4. 12.15– 12.40
ჩრდილი და სინათლე.
ასოც. პროფ. მ. მელქაძე

13.00-13.30 შესვენება

5. 13.30—13.55
არქიტექტურული მემკვიდრეობა
გარემო და თანამედროვე
საზოგადოება.
პროფ. ნ. იმნაძე

6. 13.55– 14. 20
მდგრადი განვითარება და
ენერგოეფექტური შენობები.
პროფ. გ. მიქიაშვილი

7. 14.20—14.45
წაშლილი არქიტექტურული
მემკვიდრეობა
(მე –XX საუკუნის მეორე ნახევარი).
ასოც. პროფ. დ. ბოსტანაშვილი

8. 14.45– 15.10
თანამედროვე სატაძრო
არქიტექტურა საქართველოში.
პროფ. თ. ჩიგოგიძე, დოქტორანტი
ლ. ლაცაბიძე

9. 15.10-15.30
დიდი დიღმი.
ასოც. პროფ. პ. ძინძიბაძე

დიდი მადლობა ფაკულტეტის სტუდენტურ თვითმართველობას
გაწეული დახმარებისთვის და თანადგომისთვის!

არქიტექტურული პრემია 2019

"საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის", ჟურნალი "STYLE"-ს ეგიდით, და თბილისის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა თბილისის მერვე საერთაშორისო არქიტექტურის ფესტივალი

ფესტივალის ფარგლებში: 2019 წლის 15 დეკემბერს - გაიმართა მე-14 საერთაშორისო კონკურსში - "არქიტექტურული პრემია 2019" - გამოვლენილი საუკეთესო არქიტექტურული და დიზაინერული ნამუშევრების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო, როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა არქიტექტორებმა და დიზაინერებმა, აგრეთვე უმაღლესი არქიტექტურული სკოლების სტუდენტებმა.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ნომინაცია „სტუდენტური პროექტი“ და „არქიტექტურული პროექტი“

1.შოურუმი ქ. თბილისში გახოკიძის ქუჩაზე - მე-3 კურსის სტუდენტების ჯგუფური პროექტი: მარიამ ღვინეფაძე, ანა ნაცვლიშვილი და ნუცა კიკნეველიძე



2. შოურუმი ქ. თბილისში გახოკიძის ქუჩაზე - მე-3 კურსის სტუდენტების ჯგუფური პროექტი: თეო გეგეშიძე, თორნიკე დუნდუა, თინათინ ჯანიაშვილი, ნიკა კალანდარიშვილი



3. თეატრი და აკადემია ბერლინში - მაგისტრანტი ნოდარ კვანჭიანი



Theatre Academy in Berlin

The project area is located in the urban core of Berlin, on the southern edge of the Museum Island, which is called Fisher Island. The place that has been undergoing a dramatic transformation after the post-war reconstruction and is completely losing its morphological continuity of the medieval urban blocks.

The territory has a very strategic location since it acts as the entrance of the central Berlin, the historic centre of the social, cultural, and political scene since the 13th century when the two settlements Berlin and Cologne, were founded by merchants on opposite sides of the Spree river.

The project proposal comprises an ideal theatre space, its academy, and the urban garden, which are complementing the cultural and spatial densification of the Museum island and the idea of "Spree-Athen" conceived by Karl Friedrich Schinkel. The program is based on establishing the spatial relationship with the urban context by articulating the architectonic spaces, as well as demonstrating the historic morphological transformation of Berlin, understood as the city composed of many superimposed layers.

Theatre Academy in Berlin is understood as transitional element in the establishment of the organized whole (Gestalt) - the time fraction attempt that also considers future order of the place. The proposal responses the need of completing the organization of the postwar towers which are particular elements as the specific forms. One the other hand, the assemblage of towers and theatre building gives a special interpretation and carefully refers to the assemblage of the northern edge of the Museum Island.

All of these considerations constructs the necessity of Primary Form. The concept that is always referring to the ideal space by establishing the Generic architectural form with Platonic essence.

The monumental and sculptural characteristic of the building derives from very specific reference - a Gate that acts as the entrance of the city marking the strategic place.

Above mentioned morphological themes, operational elements and the formal strategies are used as tools to give a specific interpretation of the design territory. The result establishes the metamorphosis of the place, which introduces the historic dimension of territory superimposed and confronted to the existing city structure of Berlin.

4. **მართლმადიდებლური სამონასტრო კომპლექსი.** მდებარეობა: **საქართველო, მცხეთა მთიანეთის მხარე, სოფელ ქვეშეთის მიმდებარედ - ბაკალავრი გიორგი ბეკურაშვილი**

5. ღვინის ქარხნის ინტერიერი კახეთში - ბაკალავრი გიორგი ბეკურაშვილი



მცირე მობილური ბაზარი თბილისში ვერის ბაღთან - ბაკალავრი გიორგი ბეკურიშვილი



კონკურსში ასევე მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა კურსდამტავრებულებმა, რომლებმაც მაგისტრატურაში სწავლა გააგრძელეს უცხოეთში.

განადგურებული ქალაქი ალეპო: არქიტექტურული პროექტი ქალაქის ისტორიული ცენტრისთვის. - სალომე გგუნავა





Axonometric Projection



Physical Model

მოდენას ახალი სახე - მარიამ შაიშმელაშვილი, ელენე მაჩაიძე



ებრაელების მუზეუმი ქ. პრაღაში - სალომე გუგუნავა



Jewish Museum in Prague

The project area is located in the old Jewish district of the historical centre of the Prague (Check Republic), District of Franklaov.

The old town district of Franklaov was called the most northerly part of the Old Town. In the west side, it had Jewish ghetto, the natural northern border was the Vltava River. Lots of different Christian monasteries were founded in 1200-1300 years but among them St. Agnes Convent had the dominant position. Because the project area is just next to the St. Agnes Convent it was very important to keep a golden mean between Christian Monastery complex and new Jewish Museum.

St. Agnes convent is surrounded with old and thick walls, the new project breaks its walls and intrudes to the courtyard of the convent. Therefore, it respects reference lines of the convent and follows them.



ნომინაცია საუკეტესო პროექტი გაიმარჯვა ჩვენმა კურსდამტავრებულების პროექტმა: „მზიურის პარკის და სიმონ ჩიქოვანის ქუჩის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდი“ - ავტორები ნინო ჭანტურია, ლუკა ჩაგანავა, ვახტანგ ცხოვრებაშვილი, გიორგი ჯაბადარი. ასევე მათ მიერ წარმოდგენილი იყო კონკურსზე კიდევ ერთი პროექტი საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისი

ღონისძიების ფოტოკოლაჟი

XII სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი: „თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები“

2019 წლის 20 ნოემბერს, 11 და 18 დეკემბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 405 ც აუდიტორიაში 16 საათზე გაიმართა

XII სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარის მე – 1, 2 და 3 შეხვედრები: „თანამედროვე არქიტექტურა – პრობლემები და გამოწვევები“. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“–ის პირველი კურსის მაგისტრანტებმა.

სემინარეზე განხილული იყო შემდეგი თემები:

ნატალია მეზვრიშვილი, თემა:“ ქ. რუსთავის განვიტერების პერსპექტივები“; ხელმძღვანელი: ბელა თინიკაშვილი

ელსან გამბაროვ, თემა: „ ქ. თბილისის ძველი ნაწილის რეკონსტრუქციის ანალიზის მცდელობა“; ხელმძღვანელი: ბელა თინიკაშვილი

დეა ხიზანიშვილი; თემა: „დაუფარებელი და ამავე დროს ფასდაუდებელი არქიტექტურა“; ხელმძღ. ბელა თინიკაშვილი;

მაგისტრანტი შეეხო 1920-იანი წლების არქიტექტურას და გაანალიზა ობიექტები: ზარია ვასტოკა, ზაჰესის ელექტრო სადგური, იმელი, ჭადრაკის სასახლე. განიხილა მათი ისტორია და დღევანდელობა; წარმოადგინა რუქა, რომელზეც დატანილია ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები და შექმნა ტურისტებისთვის მაშრუტი;

გიორგი ქემოკლიძე, თემა: დაკარგული არქიტექტურა „ლაგუნა ვერე“; ხელმზღვანელი ბელა ტინიკაშვილი; მაგისტრანტმა ისაუბრე იმ პრობლემებზე რაც ხდება ლაგუნა ვერეზე, აღნიშნა მისი ღირებულება და წარმოადგინა მისი განვიტარების პერსპექტივები;

ელენე რუხაძე, თემა: „ქალაქი და მტკვარი“; ხელმძღვანელი ბელა თინიკაშვილი; ისუბრა მდინარე მთკვარზე და მისის ნაპარიროების განაშენიანების პრობლემებზე, განვიტარების პერსპექტივებზე;

გელა მიქავა, თემა: „სოციალური დაკვეთა“; ხელმძღვანელი მედეა მელქაძე,

მაგისტრანტმა ისაუბრა იმ ობიეტებზე, რომელიც აიგო სოციალური დაკვეთით და მათ გავლენაზე ქალაქის სივრცულ განვითარებაზე;

მერაბ გიგინეიშვილი, თემა: „პირველი რესპუბლიკის მოედანი - გენეზისი და განვიტარება“; ხელმზრვანელი: ნინო იმნაძე; მაგისტრანტმა ისაუბრა პირველი რესპუბლიკის მოედანზე, გაანალიზა იგი დროში და სივრცეში, ისაუბრა მის სივრცულ სახეზე და დასახა განვიტარების პერპექტივები. მაგისტრანტმა წარმოადგინა პროექტი მომავალი განვითარების.

აკაკი სხვიტარიძე, თემა: „ხიდი“, როგორც კომუნიკაცია და მისი როლი არქიტექტურულ ფორმადწარმოქმნაში“, ხელმძღვანელი ნინო იმნაძე;

მაგისტრანტმა გაანალიზა ორი საცხოვრებელი რაიონის მაგალითზე: ნუცუბიძის პლატო და გლდანი. განიხილა ხიდები მათი როლი არქიტექტურულ ფორმადწარმოქმნაში და განვითარების პერსპექტივები წარმოადგინა პროექტის სახით.

დავით თიგიშვილი თემა: „წყალტუბოს წარსული და მომავალი“; ხელმძღ: დავით ბოსტანაშვილი; მაგისტრანტმა ისაუბრა წყალტუბის მნიშვნელობაზე და განიხილა მისი არქიტექტურული თავისებურებები;

გიორგი ჯავახაძე თემა: „ეპოქების კვალი ქუთაისზე“ ხელმძღ. დავით ბოსტანაშვილი; ძირიტადათ თემაში მაგისტრანტი შეეხო ქუთაისი დავით აღმაშენებლის მოედნის ფორმირების სივრცულ-მოცულობით თავისებურებებს და მის განვითარებას დროში და სივრცეში.

მარინე იონიდისი თემა: „ეკოქალაქი“; ხელმძღ. დავით ბოსტანაშვილი

თამთა ანდღულაძე თემა: „ორგანული არქიტექტურა“; ხელმძღ. ნინო იმნაძე; მაგისტრანტმა გაანალიზა ორგანული არქიტექტურის ელოვუციური განვითარება რაიტიდან დღემდე.

გილოცავთ 2020 წელს, გისურვებთ წარმატებებს და წინსვლას!

წინასაახალწლო მეჯლისი

2019 წლის 24 და 25 დეკემბერს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა წინასაახალწლო ზეიმი. 24 დეკემბერს ფაკულტეტის სტუდენტური თვითმართველობის სტუდენტებმა მორთეს

ახალი ნაძვის ხე, ფაკულტეტის ფოიე და ერთმანეთში გაათამაშეს სეკრეტ სანტა. 25 დეკემბერს გაიმართა მეჯლისი, რომელზედაც მიწვეული იყვნენ ფაკულტეტის ყველა პედაგოგი და სტუდენტები.

მეჯლისზე გათამაშებული იყო პრიზები სხვადასხვა ნომინაციებში, რომელთან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კონკურსი: „ქაღალდის არქიტექტურა“-ში გამარჯვებულის გამოვლენა. კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცათ სერთიფიკატი, სიმბოლური საჩუქრები და ფულადი პრემია 125 ლარის ოდენობით. მონაწილეობა მიიღო სულ 8 სტუდენტმა: ნიკა ადამია, ბაკურ კილავა, ნიკ ჯანგოიანი, ალექსანდრე ფოჩხიძე, რუსუდან ბერძნიშვილი, სანდრო ნავროზაშვილი, მარიამ სისაური, ნინო ჟღენტი. მათი ნამუშევრებით მოირთო ფაკულტეტი. კონკურსის მიზანი იყო

ქალღალდისგან ფაკულტეტის ლოგოს ფერებში უნდა შეექმნათ არქიტექტურული გირლანდა.

ყველა მონაწილეს დიდი მადლობა!